ცნობის ფურცელი

№ 2602 შაბათი, 4 სექტემბერი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2602

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ან[illegible] დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა. შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4 ენკენისთვეს, დღით შაბათს, დილის ცხრა საათზე **დაბა ხონში** ხონის წმიდა გიორგის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

რომანოზ დავითის ძის ბახტაძის

სულის მოსახსენებლად, რისთვისაც ქვრივი მისი **ალექსანდრა დავითის ასული ბახტაძე და** ნათესავები უმორჩილესად სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ დაესწრონ ზემო აღნიშნულ დროს. (1—1)

ფოთის საბუღალტერო კურსები

(წლიწადი მეხუთე)

სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან და გრძელდება ერთი წელი და ორი თვე. კურსებზე ღებულობენ როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. ასწავლიან: 1) საერთო ბუხჰალტერიას მარტივი და ორკეცი სისტემისა. 2) სპეციალურ ბუხჰალტერიას სხვა-და-სხვა დაწესებულებათა: ბანკების, ქარხნების, აქციონერულ საზოგადოებების, დიდ მაღაზიების და სხვათა ამგვართა. 3) სავაჭრო არითმეტიკას. 4) სავაჭრო ეკონომიას. 5) სავაჭრო გეოგრაფიას. 6) სავაჭრო და სათამასუქო კანონებს. 7) სავაჭრო მიწერ-მოწერას და 8) კალიგრაფიას.

კურსების დამაარსებელი ** კ. გიგინეიშვილი.**

მსურველთ პროგრამებს უგზავნის უფასოდ. (25—6.—22)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—[illegible]ნი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 1[illegible]

ა. ნ. დიასამიძე.—სა[illegible]ურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 1[illegible]—11 საათ.[illegible]

ა. ი. ბალ[illegible]

გ. ხ[illegible] [illegible]ირურგია და [illegible] [illegible]ოშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ[illegible] საათამდე.

ა. გედ[illegible] ბავშვებისა—1—2 [illegible]

[illegible] მა[illegible] რუსის [illegible]**ანი.**—[illegible] და სა[illegible] ხელი [illegible] და [illegible]. 11—12 ს.

დ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო (მა[illegible]ვშე[illegible] ფმ. დამწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. [illegible]ირათ. 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

გ. გ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია ორშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაკტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები შეთანხმებით. კრავატები სამი მანეთიდან შეთანხმებით.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. ვორონცოვის ქუჩიდან-კი 34 Б.

(Фото.) **ტელეფონი** № 274.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქ., № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2-ზისა და საღამოს 5—7 საათამდე. კვირა-უქმობით—10—1-დის.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყაზანსკაიას ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე

კალაუბის ბარონის ქუჩაზე № 18, მესხიშვილის ფოტოგრაფიის ზემოდ. იღებს სიფილისით და ვენერიულ სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. (0—15)

კბილის ექიმი
კანდელაკი

დაბრუნდა და განაახლა კბილის ავათმყოფთა მიღება. მიხაილოვის პროსპექტი, მანველოვის სახლში, № 30. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 ს. (30—293—4)

კბილის ექიმი
ალ. სოლოღაშვილი

გადავიდა გოლოვინის პროსპექტზე, მდივნის სახლში № 12, „კრუჟოკის“ გვერდზე. მიიღებს ავადმყოფებს დილით 10—3 საათამდე, საღამოთი 5—7. კვირაობით 9—12 საათამდე. (30—5.—4)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი

შინაგანთა, სპეციალისტი გულის და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 154. ტელეფონი № 325. (90—295—4)

პანსიონი

ელისაბედის ქუჩა, № 71. ისარლოვისეული სახლი.

ალექსანდრე გიორგის ძე
მირზაშვილისა.

მიიღებიან ვაჟები საშუალო სასწავლებლებში მესამე კლასამდე მოსამზადებლად და აგრეთვე საზემლემერო სასწავლებელში. (150—218—29)

ქ. ქუთაისში ივანოვის ქუჩაზე მღვდელ გაბელაშვილის სახლებში გაიღო მშობიარეთა და მელოგინეთა **თავშესაფარი** აკუშერკა ს. ლ. ოქსენგაუტისა. თავშესაფართან მონაწილეობას იღებს როგორც მრჩეველი დოქტორი აკუშერი ა. ა. რელივიონი. (5—4)

ვღებულობ ბინაზე ჩემის ხარჯით მოსწავლე ქალებს. ადრესი მოიკითხეთ ქუთაისში ბეჟანეიშვილის მაღაზიაში. (5—4)

ავლაბრის ახალი თეატრი არაქსიანისა

შაბათს, 4 სექტემბერს 1904 წ. სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება სომხურათ

„დაქცეული ოჯახი“

კომ. 3 მოქ. გ. სუნდუკიანცისა.

და ქართულად

„არკადიას სადილი“

სცენები ჩვენის ცხოვრებიდან 3 მოქ. ნ. გალუსტოვისა. ადგილების ფასი 10 კ.-დან 50 კ.-მდის ანტრაქტებში დაუკრავს სამხედრო მუზიკა. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.

(1—299—1) გამგე გ. პეპანოვი.

რედაქციისაგან.

ვისაც „ცნობის ფურცლის“ და „მოამბის“ წლიური ფასი სრულათ არა აქვს გადახდილი, რედაქცია სთხოვს დააჩქაროს შემოტანა, რათა გამოცემათა გზავნა არ შეჩერდეს.

„ცნობის ფურცელი“ 1-ლ ენკენისთვიდან წლის დამლევამდის ღირს 2 მან. 60 კ.

ადრესის გამოსაცვლელად—ვინც ერთი ქალაქიდან მეორეში გადადის, უნდა გადაიხადოს 40 კ. ვინც ტფილისიდან გადის—1 მან.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 სექტემბერი

ტოკიო, 1 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). გენერალ ნოძუს დეპეშა: „იაპონელთა შუალა არმია 21 აგვისტოს, დილის 5 საათზე, განაგრძობდა წინ სვლას სამხრეთიდან ლიაოიანისკენ. მარჯვენა ფრთეს ჯარს თან და თან საომარი მასალა აკლდებოდა. რუსის ზარბაზნები არა სცხრებოდნენ. არ შევჩერებულვართ, რადგან უფრო მეტი ზარალი მოგვივიდოდა. ბოლოს, საღამოს 6 საათზე, ჩვენმა ჯარმა იერიში მიიტანა რუსის სამაგრეს კვეიფომიაოზე, სადაც რუსის ზარბაზნები შესუსტდნენ. ჯერ ჩვენი მარცხენა რაზმი მიუახლოვდა რუსის სანგრებს და ელოდა იერიშის დროს. მაგრამ, რადგან მსწრაფლ-მსროლელ ზარბაზნების სროლა არა სცხრებოდა, იერიში ვერ მოხერხდა. ამ დროს ჩვენმა მარცხენა რაზმმა დაინახა, რომ მარჯვენა რაზმი წინ მიდიოდა და თვითონაც წავიდა წინ. რუსები ძალზე ისროდნენ ზარბაზნებს, მაგრამ მარჯვენა რაზმმა ყური არ ათხოვა ამას, იერიშით წავიდა, შევარდა მოწინავე სიმაგრეებში, ზედ გადაიარა მოკლულთა გვამებზე და მივიდა რუსის სანგრებთან. საღამოს 7 საათსა და 50 წუთზე, მე-20 პოლკი ავარდა რედუტის კვეიფომიაოს კედელზე, რომელიც შემდეგ ჩვენმა ჯარმა აიღო კიდეც. მეორე ბატალიონი, რომელიც მე-20 პოლკის მარჯვნივ იბრძოდა, ეცა იმავე რედუტს. მარცხენა რაზმის დასავლეთ ფრთეს მაგრა დაჰხვდნენ რუსები, მაგრამ მზის ჩასვლისას ჩვენმა ჯარმა მაინც აიღო რუსის სანგრები. შუალა ჯარმა აიღო თხრილები, მაგრამ რუსის ჯარმა თოფები დაუშინა ლიაოიანის კედლებიდან. ბოლოს, საღამოს 10 საათსა და 20 წუთზე, ჩვენმა ჯარმა დაიჭირა ლიაოიანის გალავნის სამხრეთი კარები. ჩვენი მარცხენა რაზმი ჩრდილოეთიდან მიიწევდა მტერზე, მაგრამ რუსები მედგრად უშენდნენ ზარბაზნებს და წინ ველარ წავიდა. ამისდა მიუხედავად, ღამის 12 საათსა და 30 წუთზე ამ რაზმმა ერთსა და იმავე დროს იერიში მიიტანა რუსის თხრილებზე და აიღო კიდეც. ჩვენმა ჯარმა დაიჭირა ლიაოიანის ჩრდილოეთი ნაწილი. მარჯვენა რაზმმა 21 აგვისტოს დაჰკარგა 3,000 კაცი, მარცხენამ—800 კაცი. ჩვენი ჯარი ძალიან დაღლილი და მოქანცული იყო, მაგრამ 22 აგვისტოს გათენებისას ლიაოიანის აღმოსავლეთით მაინც გავგზავნეთ რაზმი რუსების სადევნელად. ჯარი მდინარეზე ვერ გადავიდა, რადგან 21 აგვისტოს, ღამე, რუსებმა დაანგრიეს ხიდები“.

პეკინი, 1 სექტემბერი („რეიტ, სააგ.“). ჩინეთს ძლიერ სჭირდება ფული ჯარის მოსაწყობად და გასაუმჯობესებლად. ჩინეთს ჰსურს საკმაო ჯარი იყოლიოს, რომ როდესაც იაპონია მანჯურიას დაუბრუნებს, ქალაქებში მეციხოვნენი ჩააყენოს. ჯარი უნდა კიდევ იმიტომ, რომ შიშობენ—ომის შემდეგ ჩინეთი არ გაიყონ.

პეტერბურგი. გენ.-ადიუტანტის ალექსეევის დეპეშა, მისს იმპერატორებით უდიდებულესობას 1 სექტემბერს: „კომანდორის კუნძულების უფროსი სტატსკი სოვეტნიკი გრინბეცკი, რომელიც გაგზავნილი იყო სურსათის წასაღებად პრიმორსკოი ოლქის ჩრდილოეთ მაზრებში, იაკუტსკიდან 31 აგვისტოს გამოგზავნილ დეპეშით მატყობინებს, რომ კომანდორის კუნძულებს იაპონელთა და ინგლისელთა ნავებმა ალყა შემოარტყესო. 15 ივლისამდე ნავები იქ მიდიოდნენ უმთავრესად, სადაც წავების სოროებია. ორი ორთქლით მავალი ნავია; ეს ნავები ზარბაზნებით არიან შეიარაღებულნი. იაპონელთა განდევნის დროს მოკლულ იქნა 10 იაპონელი. ბევრი დაიჭირა. ჩვენ ზარალი არ მოგვსვლია. კამჩატკაში 31 ივლისამდე დავწვით იაპონელთა ხუთი თევზის საჭერი ნავი. ხალხი ამოვჟლიტეთ. ივნისში ოზერნის კუნძული დაიჭირეს იაპონელებმა სამსახურს გარეშე მყოფ ლეიტენანტის გუჯის უფროსობით, გამართეს იქ გამაგრებული ბანაკი და შეუდგნენ მეთევზეობას. დაჭერილი თევზი სამის ნავით მიჰქონდათ. შემდეგ იაპონელებმა გაძარცვეს ივინო, ააფრიალეს იაპონიის დროშა რუსის სამლოცველოს თავზე და მიაკრეს განცხადება. განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ ეს ადგილები იაპონიას შეუერთდა და იმას, ვინც განცხადებას ჩამოჰხევს, მოვკლავთო. მცხოვრებთ ურჩევდნენ დამორჩილებოდნენ იაპონიას, თან მფარვე[illegible] ჰპირდებოდნენ. სათადარიგო ჯ[illegible] ფიცერმა სოტნიკოვმა შეადგინა [illegible] ჯარის ყაზახთა და კამჩადლელთა[illegible]ან 120 კაციანი რაზმი, შეიტყუილა ია[illegible]ში ლეიტენანტი გუჯი და ექიმი ოდა [illegible]არო და ტყვედ წაიყვანა. 26 ივლისს სალნიკოვი დაეცა ოზერნოის. მოჰკლეს 17 იაპონელი. ჩვენ ხუთი გვყავს დაჭრილი[illegible]ერთი მძიმედ, რომელიც მოკვდა კიდეც. რაც შეეხება კამჩატკის აღმოსავლეთ ნაწილს, ჯერ-ჯერობით ვიცით, რომ იაპონელებს უკა გაუძარცვიათ. გრინბეცკი ოხოტსკიდან უნდა წასულიყო ივინოსა, ბოლშერეცკს და ტიგილში, სადაც უნდა წაეღო მცხოვრებთათვის სურსათი და შემწეობა აღმოეჩინა. გრინბეცკის სიტყვით, კამჩატკა მთავრობის პირველ მოწოდებისათანავე ძველ ტრადიციების ერთგული აღმოჩნდა და შეიარაღდა. იქაურები მზად არიან დაღვარონ სისხლი სარწმუნოებისა, მეფისა და სამშობლოსათვის. ზემოდ აღნიშნულს უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენ იმპერატორებით უდიდებულესობას“.

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის ალექსეევის დეპეშა, მისს უდიდებულესობას 1 სექტემბერს: „უქვეშევრდომილესად ვაუწყებ თქვენს უდიდებულესობას, რომ გენერალ-ადიუტანტის სტესელისაგან შემდეგი მოხსენება მოგვივიდა: 1) 18 აგვისტოს: ჩინელების სიტყვით, იაპონელებმა გაამაგრეს სამსონის მთა და იმის წინ ნაღმები ჩააწყეს. პორტ-არტურთან იაპონელები ძლიერ მაგრდებიან და ღამ-ღამობით ახალ ბატარეებს სდგამენ. ტახეს ბუხტას ნაღმებისაგან სწმენდენ. ჩვენ ჯარში პროკლამაციები გაავრცელეს, რომლებითაც ურჩევენ დაჰნებდნენ იაპონელებს. გენერალ-ადიუტანტის სტესელის აზრით, ეს გარემოება შემდეგს მოწმობს: იაპონელებს აღარა სჯერათ, რომ იმათი სამხედრო მოქმედება ნაყოფიერი იქნება. სასიხარულო ამბავს მემკვიდრე ცესარევიჩის ალექსი ნიკოლოზის ძის დაბადების შესახებ მთელი მეციხოვნე ჯარი აღტაცებით მიეგება. ყოვლად-მოწყალე დანიშვნა სტესელისა—გენერალ-ადიუტანტად. და პოლკოვნიკის სემიონოვისა—თქვენ უდიდებულესობის ფლიგელ-ადიუტანტად მეციხოვნე ჯარმა მიიჩნია ნიშნად ხელმწიფის ყურადღებისა ციხის დამცველთა მიმართ; 2) 20 აგვისტოს ღამე იაპონელებმა გაძლიერებით იშტურმეს გძელისა და მაღალ გორის წინააღმდეგ და ზარბაზნები დაუშინეს. ამავე დროს ჩვენმა არტილერიამ ზარბაზნები დაუშინა დროზე აღმოჩენილ იაპონელთა მოწინავე ჯარს. მტრის ბატარეა წააწყდა მიწაში ჩაწყობილ ნაღმებს და დაზარალდა. ერთი საათის შემდეგ მტრის წინსვლა მარტო ზარბაზნების სროლით იქნა შეჩერებული. ჩვენი ზარალი მცირეა; 3) 21 აგვისტოს: მტერი მაგრდება ციხის დასავლეთ ფრონტის პირდაპირ; განუწყვეტლივ ყუმბარებს ესვრის სიმაგრეებს, აგრეთვე ციხესა და ნავთსადგურს. წინა დღეს და გასულ ღამეს მტერმა სულ 250 ყუმბარა ისროლა. ესკადრა სულ ციხის პირდაპირა დგას“.

ლიაოიანი, 29 აგვისტო („რეიტ. სააგ.“). იაპონიის არმია ისვენებს ლიაოიანში. ხიდების შეკეთებას ადგანან. იაპონელებმა სხვათა შორის ჩაიგდეს ხელში: პოვოზკები, თოფები, შინელები, სხვა ტანსაცმელი და სურსათი.

ტელინი, 1 სექტემბერი. ჯერ-ჯერობით ლაპარაკიც არაა მუკდენიდან წასვლის შესახებ. როგორც ჩანს, სამხედრო მოქმედებას უფრო შორს, აღმოსავლეთისკენ, გადაიტანენ.

კოპენჰაგენი, 1 სექტემბერი. გაზეთები იუწყებიან, რომ შვეციიდან აქ გემით მოსულ იაპონელს ნავთსადგურზე საიდუმლო პოლიციის აგენტები მიეგებნენ და სანამ კორსორში წავიდოდა, თვალ-ყურს ადევნებდნენო. რამოდენიმე პოლიციელი იქაც გაჰყვა იაპონელს. თვალ-ყურის დევნა იკისრა პოლიცმეისტერმა, რომელმაც აუკრძალა ტელეგრაფის კანტორებს იაპონელისაგან გასაგზავნად მიღება საიდუმლო დეპეშებისა. ჰფიქრობენ, იაპონელი იმისათვის არის აქ გამოგზავნილი, რომ თვალ-ყური ადევნოს რუსეთის ფლოტს, როცა იგი დიდ ბელტში გაივლის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3 სექტემბერი

ტოკიო („რეიტ. სააგ.“). იიამა დეპეშით იუწყება, რომ რუსების პოზიციების მდგომარეობა მუკდენთან უცვლელად არის. —გემის „ლენა“-ს სან-ფრანცისკოს მისვლა ძალიან აღელვებს იაპონელებს. იმათ არ ესმით, რად მოვიდა რუსეთის სატრანსპორტო გემი ამერიკაში. მთავრობა გულმოდგინეთ ადევნებს თვალ-ყურს ამ გემის საქმეს.

ნაგასაკი, 2 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). ინგლისელთა გემი, როგორც ფიქრობენ—„ლუცია“, პორტ-არტურთან ნაღმს წააწყდა და აფეთქდა გადარჩა მხოლოდ ერთი კაცი. ფიქრობენ, რომ გემს განზრახვა ჰქონდა იაპონელთა გემების ალყა გაერღვია და პორტ-არტურში შეპარულიყო.

ლონდონი, 2 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). რუსეთის კრეისერმა „ტერეკ“-მა 30 აგვისტოს გიბრალტარის ახლოს გააჩერა ინგლისის გემი „ტრეიხერბერტ“-ი, გაუსინჯა ქაღალდები და გაანთავისუფლა. 24 აგვისტოს იმავე „ტერეკ“-მა გააჩერა ინგლისის გემი „მორგიტ გრედელ“-ი, გაჩხრიკა და ორი საათის შემდეგ გაანთავისუფლა.

ვაშინგტონი, 2 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). „ლენა“-ს უფროსმა სთხოვა რუსეთის მთავრობას, ნება დართოს „ლენა“-ს იარაღი აჰყაროს. პასუხს დღეს მოელის. სახელმწიფო დეპარტამენტმა გაიგო, რომ ელჩი კასინი „ლენა“-ს იარაღის აყრის მომხრეა. ადმირალ გუდრიჩს დაევალა, შეატყობინოს „ლენა“-ს უფროსს, დაუყოვნებლივ გამოაცხადოს თავისი გადაწყვეტილება. გუდრიჩის მიერ დაარსებული კომისია შეუდგა „ლენა“-ს ქვაბებისა და მაშინების საბოლოოდ გასინჯვას და იმედი აქვს დღესვე დაასრულებს ამას. გემის უფროსმა და რუსეთის კონსულმა დაათვალიერეს საზღვაო სადგური მერ-აილენდი, სადაც „ლენა“ უნდა გაჩერდეს იარაღის აყრის შემდეგ.

ჩიფუ, 2 სექტემბერი. მტრედების ბუხტის ჩრდილოეთ ნაპირზე იაპონელებმა დიდი სიმაგრე ააგეს.

ხარბინი, 2 სექტემბერი (სააგ. საკუთ. კორს.). პორტ-არტურის ირგვლივ, იაპონელთა უნაყოფო იერიშების შემდეგ, მრავალი გვამია. გვამები იხრწნება და ჰაერს სწამლავს. იაპონელები უშლიან რუსებს გვამების წაღებას და ესვრიან, თუმცა სანიტარებს წითელი ჯვრის დროშა აქვთ ამართული. მტერი განუწყვეტლივ ესვრის ზარბაზნებს ქალაქს; ძალიან გაამაგრა ცინჯოუს ყელი და სანგრებს აკეთებს პორტ-არტურის პირდაპირ. ჩვენი მეციხოვნე ჯარი ყოჩაღად არის. ციხეში სანოვაგე ბლომადაა. პორტ-არტური დიდხანს გაუმაგრდება მტერს.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. გერმანული გაზეთები იუწყებიან: რუსეთმა და იაპონიამ დიდძალი სამხედრო ნივთი შეუკვეთეს გერმანიის ფირმებსაო. იაპონიამ 100 ათასი წამოსასხამი შეუკვეთა, რუსეთმა 100 ათასი კარავი, წაღა, ქუდი და სხვ. აქედან სჩანს, რომ ომი დიდხანს გასტანსო.

„დეილი მეილ“-ის კორესპონდენტი იუწყება: კრუპის ქარხნის ინჟინერმა მითხრა, ჩვენი ქარხანა დღე და ღამ ზარბაზნებს ამზადებს იაპონიისა და რუსეთისთვისაო; ჩვენ ქარხანაში ერთს სადგომში რუსები დგანან, მეორეში იაპონელი ოფიცრებიო. მე გავიგე, რომ კრუპის ქარხანა ახალ გაუმჯობესებულ ზარბაზნებს ამზადებსო. („რ.“).

„დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი იუწყება: იაპონიის ჯარის მთავარ-სარდალმა მარშალმა ოიამამ სთქვა: რამდენიც უნდა ახალი კორპუსი მოიყვანოს რუსეთმა მანჯურიაში, იაპონია ერთი ორად მეტ ჯარს უფრო ჩქარა მოიყვანსო. გენ. კუროპატკინს უნდა ესმოდეს, რომ იმისი საქმე წასულიაო. („ნ. ობ.“).

აქამდე რუსის სამხედრო მიმომხილველების უმეტესობა ამტკიცებდა, იაპონიას მხოლოდ 350 ათას ჯარის-კაცის გამოყვანა შეუძლიან საომრადაო. „რუსკი ინვალიდ“-ში ბ. ზაუსტინსკი ამტკიცებს, ეს დიდი შეცდომააო. ზაუსტინსკი სწერს: დროა გამოვტყდეთ, რომ იაპონიის სამხედრო ორგანიზაცია და ჯარის ამბავი სრულობით არ ვიცოდით. რუსეთის დიპლომატებისა და სამხედრო აგენტების უმეტესობამ ტოკიოში იაპონური ენა არ იცოდა და, სხვა არა იყოს რა, მარტო ამ მიზეზით არ შეეძლოთ რიგზე საქმის გამოკვლევა და გაგება; ბოლოს ჩვენ (რუსები) დავრწმუნდით, რომ იაპონიას ცოტა ჯარი ჰყავსო. ჩვენ ვიცოდით, რომ იაპონიის ჯარი ჩინებულად იყო შეიარაღებული, საკმაოდ რიგიანად გაწვრთნილი და ძლიერ გულადი, მაგრამ ყოველთვის იმით ვინუგეშებდით თავს, რომ იაპონიას მაინც დიდი ჯარი არა ჰყავსო. ჩვენ მუდამ ერთსა და იმასვე ვიმეორებდით: იაპონიას 13 მომქმედი დივიზია ჰყავს თითო თორმეტ ბატალიონიანი და 26 სარეზერვო ბრიგადა თითო ოთხ ბატალიონიანი; ომის დროს სულ 10 ათას ოფიცრისა და 350 ათას ჯარის კაცის გამოყვანა შეუძლიანო“. რასაკვირველია, ასეთ ჯარის მორევა მაინცა და მაინც მძიმე საქმედ არ მიგვაჩნდა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აქ 100 ათასი კაცი სატერიტორიო ჯარიცაა ნაანგარიშევი, თუმცა ადრე ამტკიცებდნენ, ეს ჯარი მხოლოდ თითონ იაპონიის დასაცველადაა დანიშნული და სამხედრო მოქმედების ასპარეზზე არას დროს არ იგზავნებაო. ნამდვილად კი იაპონიას გაცილებით მეტი ჯარი ჰყავს. იაპონიამ საყოველთაო სამხედრო სამსახური 1872 წელს შემოიღო და ეხლანდელ ომის თადარიგს 1896 წელსვე შეუდგა. 1896 წლიდან 1903 წლამდე, ესე იგი 7 წლის განმავლობაში იაპონელებმა 300 ათასი სათადარიგო ჯარის კაცი დაამზადეს და 500 ათასი ჯარის კაცი პირველ რიგისა. ასე რომ მომქმედ ჯარიანად (200 ათასი კაცი) იაპონიას ერთი მილიონი ჯარი ეყოლება 1897 წელს იაპონიამ თავის ჯარს ახალი თოფები დაურიგა და ნახევარი მილიონი ძველი თოფი მურატის სისტემისა სარეზერვო ბრიგადებისათვის შეინახა. ერთის სიტყვით იაპონიას გაცილებით მეტის ჯარის გამოყვანა შეუძლიან, ვიდრე წინად ეგონათო. ამის თაობაზე გაზ. „რუს“-ი შენიშნავს: აკი ბოლოს დროს ზოგიერთი კორესპონდენტი ამტკიცებდა, რუსეთს მანჯურიაში მილიონ ჯარის ჩაყვანა ესაჭიროებაო. („რ.“).

საფრანგეთის სამხედრო მინისტრად ნამყოფი ლანესანი სწერს გაზ. „სიეკლ“-ში: დროა დიდმა სახელმწიფოებმა შუამავლობა იკისრონ და რუსეთი და იაპონია შეარიგონ. ლანესანის აზრით, საფრანგეთი და ინგლისი ვერ იკისრებენ შუამავლობას, რადგან ერთიცა და მეორეც მეომარ სახელმწიფოს მოკავშირეები არიან; ამიტომ რუსეთი ინგლისის შუამავლობას არ ენდობა, იაპონია საფრანგეთისას. ამერიკას უფრო თამამად შეუძლიან შუამავლობის გაწევა, მაგრამ ეს როლი ყველაზე მეტად ისევ გერმანიას მოუხდება. გერმანიის იმპერატორი ყოველთვის მედგრად ესარჩლებოდა ზავსა და მშვიდობიანობას და მეტად კარგი იქმნება, რომ ეხლაც შემთხვევით ისარგებლოს და შორეულ-აღმოსავლეთში მშვიდობიანობა დაამყაროსო.

„კელნიშე ცაიტუნგ“-ი იუწყება: იაპონელები დიდ ფულსა სწირავენ მთავრობასაო. მარკიზმა გირემ მილიონ იენად ღირებული ზოდი ოქრო შესწირა მთავრობას სამხედრო საჭიროებისათვისაო. („რ. ვ.“).

მუკდენთან. გერმანული გაზ. „ოლგ. ცაიტუნგ“-ი 26 აგვისტოს იუწყებოდა: გენ. კუროპატკინს მუკდენში მხოლოდ სამი დივიზია ჰყავს ისეთი, რომ ბრძოლა შეეძლოსო. მუკდენში რუსებს ძლიერ აფიქრებთ ზოგიერთ ციმბირის პოლკის ბედიო.

ფრანგული გაზ. „ეკო დე პარი“ იუწყება, ვითომ მუკდენთან 26 აგვისტოს ბრძოლა დაწყებულიყოს. ამ ბრძოლაში პირველი და მე-17 კორპუსები იღებდნენ მონაწილეობას. რუსის ჯარს გენ. მეიენდორფი უფროსობდაო. გენ კუროპატკინი უმთავრესის ჯარით მუკდენს მოვიდა და ამ ჟამად ტელინისკენ მიდისო. („ბ. ვ

„დეილი ტელეგრაფ“-ი იუწყება: იაპონელების ჯარი საიდუმლოდ მოქმედებს და ადგილებს იჭერს მდინარე ლიაოხეს ველშიო. („ნ. [illegible]

ამ ჟამად ყველა დიდის ინტერეს [illegible]

ფელეტონი

ბრძოლის ველიდან

წერილები ვას. ნემიროვიჩ-დანჩენკოსი.*)

ძნელი, მეტად ძნელი საქმე აღმოუჩნდა ჩვენ ჯარს შორეულ აღმოსავლეთში. სიძნელე გაორკეცებულია იმით, რომ იაპონიის ჯარი—ძლიერი და მამაცი ჯარია. ამ ჯარს ევროპიულ ჯარზე უფრო მაღლა აყენებენ ორგანიზაციით, სიმტკიცით და სიმამაცით ამას აქაური სამხედრო აგენტები ამბობენ. ერთმა აგენტმა გულ-ახდილად მითხრა: „თქვენთვის, რუსებისთვის, ბევრად უფრო ადვილი იქო ევროპის რომელსამე სახელმწიფოსთან ბრძოლა, ვიდრე იაპონიასთან: ჯერ ერთი—აქ უცხო ქვეყანაში ხართ, მეორე და უმთავრესი—ევროპაში ეხლა აღარ არის იაპონელისთანა სალდათი. ძალიან ხშირად ჩვენ პრესსას ვაი-უშველებელი აუტეხნია ჩემის წერილების გამო: მემდურებიან, რად ვწერ იაპონელებზე ამ გვარ კილოთი. მაგრამ ესეთი კილო მე არ მეკუთვნის,—ასე ფიქრობენ აქ ყველანი, ვისაც იაპონელნი უნახავს და იმათთან საქმე ჰქონია. ნურავინ იფიქრებს, პატრიოტად გავხდები, თუ მტერს ცილს დავწამებო. რა თქმა უნდა, იმაზე ადვილი არა არის რა, იაპონიის ჯარს „სვოლოჩი“ უწოდოთ, მაგრამ, ერთი ეს მიბრძანეთ, რა მიზეზია, რომ ამ „სვოლოჩი“-საგან უკან-უკან ვიწევთ, იმის მეომრებს ადგილებს ვუთმობთ? რა დაგვემართა, რომ დავინახავთ თუ არა „სვოლოჩ“-ს, მაშინვე უკან ვიხევთ,—იქნება გვეზიზღება იმისი დანახვა?

ჯერ ისევ კორპუსში გვასწავლიდნენ: შენი მტერი შენზე ჭკვიანად ჩასთვალე, ნურასოდეს ნუ შეიზიზღებ, გახსოვდეს, რომ შენთან ბრძოლის ღირსად სცანი—და საქმეს არ წააგებ. დიახ, ასე გვასწავლიდნენ კორპუსებში. ზიზღი მოწინააღმდეგის მიმართ—უხეირო და გამოუსადეგარი იარაღია. ამგვარის იარაღით ფონს ვერ გახვალთ და გამარჯვებას ვერ ეღირსებით. ფრანგები 1870 წლამდე ზიზღით უყურებდნენ გერმანელებს, „კარტოფილის ფარას“, „ლუდხანის ბარბაროსებს“ ეძახდნენ და აკი კიდეც ამიტომ დაუჯდათ ომი ძვირად. ჩვენ რომ ყურადღება მიგვექცია იმ ვაჟბატონებისთვის, რომელთაც იაპონია აბუჩად აიგდეს, ჩვენი საქმე ცუდად იქნებოდა, ბევრად უფრო ცუდად, ვიდრე ეხლაა. ვიმეორებ, ჩვენ ვებრძვით ისეთ მოწინააღმდეგეს, რომლის ჯარიც ევროპიულზე მაღლა სდგას. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ვაჯობებთ მტერს,—ამისი ეჭვი აქ არც-კი აქვს ვისმეს,—მაგრამ დროებით დამარცხებისა არ უნდა შეგვრცხვეს, რადგან იაპონელთა ჯარი „ბრბო“ და „სვოლოჩი“ არ არის, როგორც ზოგიერთი ვაჟბატონები ამტკიცებენ. ასეთ პირობებში იაპონელებს ვერც ერთი ევროპიული ჯარი ვერ დაუდგებოდა და ჩვენ უნდა ვიამაყოთ, რომ ერთი ორს ვუმაგრდებით. ჩვენ ჯარის-კაცს, სხვა ქვეყნის შვილს, აქაურ მთებს, ჰავას და ნიადაგს უჩვევს, სიამაყით შეუძლიან მიიგონოს ეს ომი. ჩვენის სალდათისთვის უკან დახევა სრულიადაც არ არის სამარცხვინო. ამ დროს იგი მოღუშულია, თავის თავს არა ჰგავს. მაგრამ ეს სირცხვილის გრძნობა როდია. ჩვენი მეომარი აძლევს მოწინააღმდეგეს პოზიციას, ბრძოლით აღებულს, ასს, ათასს კაცის სისხლით მორწყულს, შიმშილითა და წყურვილით ნაყიდს. მეომარს, ვიმეორებ, სირცხვილად არ მიაჩნია უკან დახევა, მაგრამ ისეთის როლის ასრულების დროს-კი, როგორც ჯერ ჯერობით ჩვენი როლია, ჯარი თანდათან სულით ეცემა.

უკან დახევის დროს ნუ ეძებთ წეს-რიგს, სითამამეს; ნუ გაიოცებთ, თუ დაინახავთ მღუშარედ მიმავალ მეომარს, იმის მოღრუბლულ, მოწყენილ სახეს. გახსოვდეთ, რომ იგი მოქანცულია, რომ მას მთელის კვირაობით, თვეობით წინ და უკან ჰგზავნიდნენ. ყველა ამით გაოცებულს და გაკვირვებულს ანგარიში ვერ მიუცია თავის თავისთვის. ამბობენ, სალდათმა არც უნდა მისცეს ანგარიში თავის თავს, იმან ის უნდა შეასრულოს, რასაც უბრძანებენო. ვერავინ ვერ იტყვის, რომ ჩვენი სალდათი ბრძანებას არ ასრულებს. ეუბნებიან: წადი და მოკვდიო, ისიც უყოყმანოდ მიდის და კვდება. უბრძანებ: დადეგ აქ, სადაც მტრ[illegible] ზარები ეცემაო,—ისიც დგება და [illegible]ს. მაგრამ ამავე სალდათს, რომელიც [illegible] ასრულებს, სულსა და ტვინს ვერ ამოაცლით და მანქანად ვერ გადააქცევთ. [illegible] სალდათი, განსაკუთრებით უკან დახევის დროს, ფიქრობს თავისთვის, მარტოდ-მარტო. ბანაკში, პაპანაქება დღის შემდეგ, წვიმის ქვეშ, სველი, ტალახიან მიწაზე მწოლიარე [illegible] რობს, ადარებს, აფასებს ყველაფერს. არ არის ასეთი „მეომარი“, რომელიც ასე არ იქცეოდეს. დისციპლინა ბრძანების აღსრულებაში გამოიხატება. ვერავითარი დისციპლინა ფიქრსა და აზრს ვერ დაავიწყებს ადამიანს.

* *

როგორც წინად ვაფანგოუს, ისე ეხლა დაშიჩაოს თავს განებებთ და უკან მივდივართ. იაპონელებს ჩვენი უკან დახევა ისე გაუკვირდათ, რომ პირველ ხანს ადგილიდან არც-კი დაძრულან. წასვლისას ინკოუს თავზე შავი კვამლი დავინახეთ: იწოდა სურსათი და სხვა ჩვენი დოვლათი. ამ სამ-ოთხ დღეში ყველაფერის წამოღება შეიძლებოდა. სადგურის კომენდანტი, ახალგაზდა ოფიცერი ანენკოვი ბევრს იხვეწებოდა, ვაგონები მომეცით და ყველაფერს წამოვიღებო. ვაგონები ცარიელი იდგა, მაგრამ მაინც არ მისცეს... აქაც ის მოხდა, რაც ბევრგან სხვაგან ე. ი. ჩვენი ჯარის სურსათს და სხვა საქონელს ჩვენვე ცეცხლს ვუკიდებთ და ვწვავთ, ვწვავთ და ვწვავთ. ამ უღრუბლო, მოკაშკაშებულ ცაზე კვამლის შავი ზოლები რაღაც სევდას, დარდსა ჰგვრის ადამიანს. გუშინ აგერ იქ, ზღვის პირად, დასწვეს დიდი ქონება, დღეს აქ დაშიჩაოში სწვავენ. დასწვეს მთელი გორები პურისა და ქერისა. ამ დღეებშიკი მშიერმა რაზმებმა ვერ მიიღეს ვერც პური და ვერც სხვა საჭმელი, მხოლოდ იმიტომ, რომ ფორმალიზმი სავსებით არ იყო შესრულებული: ერთს რიგიანი „მოწმობა“ არა ჰქონდა, მეორეს ბეჭედ დასმული ქაღალდი,—არა, ერთი მიბრძანეთ, ვინ უნდა ატაროს ჯიბით ბეჭდები ამ ბრძოლასა და ვაი-ვაგლახში! დაშიჩაოში ერთი ისეთი ვაჟბატონიც-კა აღმოჩნდა, რომელმაც შუა ბრძოლისა და ზარბაზნების შექ-ქუხილის დროს საწყობიდან სალდათებს ყუმბარები არ მისცა,—რიგზე დაწერილი ქაღალდი არ მოგიტანიაო.

დაშიჩაოდან წასვლისას დავინახე როგორ იკლაკნებოდა წითელი ალი და გველივით უვლიდა ფქვილით დატენილ ტომრებს, ქვა-ნახშირის გორებს და სხვა დაუფასებელ ქონებას... შავი კვამლი ზევით მოწმენდილ და მოკაშკაშებულ ცისაკენ მიდიოდა. ოჰ, როგორა მძულდა იმ დროს ის მოკაშკაშებული ლურჯი ცა! ძირს იმდენი უსამართლობა, უგუნურობა, უთვალავ ხალხის კვნესა-ტირილი, ჟლეტა-ხოცვა, ზევით-კი მუდამ და[illegible], მუდამ მოკაშკაშებული, მაგრამ ამავე დროს [illegible] და ზევით იწევდა, ისმოდა შაშხი, [illegible]. ამავე დროს მთებიდან ისმოდა ზარბაზნების [illegible]ლი, ხოლო ხეობიდან თოფის ხმა. ზოგჯერ ჩვენ თავზედაც გადაირბენდა ხოლმე ზუზუნით ცხელი ტყვია, მაგრამ ყუმბარის გუგუნსა და ტყვიის ზუზუნს ისე მივეჩვიეთ, რომ ყურადღებას აღარავინ აქცევს.

* *

ღმერთო ჩემო, რანაირად მოიქანცნენ ჩვენი ჯარის-კაცნი! გული გიკვდება, ბოღმა გახრჩობს, სევდა გაწუხებს, როდესაც იმათ უყურებ. აბა შეხედეთ,—ტანჯვას, მთელ ჯოჯოხეთს ამოიკითხავთ იმათ სახეზე! კარგია კიდევ, თუ ზოგმა აბგა მოიშორა, გადააგდო სადმე. ასეთნი სუმბუქად და ადვილად მიდიან. მაგრამ უმრავლესობა ვერ იშორებს ამ „მოწყობილებას“, პაპანაქება სიცხეში ზურგზე აკრავს ორ ფუთიანი ტვირთი და ძლივს წვალებით მიათრევს ფეხებს. ყველას ოფლი წურწურით ჩამოსდის, სახე და კისერი გადამწვარი აქვს, სახეზე უღონობისა და უძლურობის ბეჭედი აზის. ვისა აქვს ამ დროს წეს-რიგის თავი, ვის შეუძლიან მწყობრად, ფეხების ბაკუნით და ლამაზად სიარული? რა თქმა უნდა, არის თითო-ოროლა ისეთი პოლკი, რომელიც უკან დახევის დროსაც-კი წეს-რიგით მიდის, ასე გასინჯეთ, ზოგჯერ მღერიან კიდეც. ყველაზე საცოდავი სანახავი სათადარიგო ჯარის-კაცნი არიან. ესენი პირდაპირ სოფლიდან მოვიდნენ, მოსწყდნენ ოჯახს, გუთანს, კერას. ყველა წვერ-ულვაშიანია, ხანში შესული; არიან მოხუცნიც ჭაღარა წვერითა და თმით. აბა, სად შეუძლიათ ამათ, ამ მუხლ და ჯან გატეხილებს ახალგაზრდებთან უღლის გაწევა?! აკი ამიტომ უკან რჩებიან, ძლივს მიდიან და მიათრევენ აკანკალებულ ფეხებს. თავზე ამ გვარ სიცხეში ჰხურავს ქუდის ნაცვლად [illegible]ნური ნაჭრის წოწლოკა, ტანზე აცვია დაფლეთილი პერანგი და ნაკუწ-ნაკუწად ქცეული შარვალი, ფეხებზე ზოგჯერ არაფერი, ზოგჯერ კი ორის ნაცვლად ერთი წაღა. სისუსტისაგან ყანყარებს, მთვრალივით გადად-გადმოდის. რა თქმა უნდა, ასეთი ჯარის-კაცნი უკან დახევის დროს რიგსა და წესზე ვერ წავლენ, ერთი ზევით მიდის, მეორე ქვევით, ერთი მთაში მიდის, მეორე ბარში, ასე რომ არ იცი, სად იწყება ერთი პოლკი და სად თავდება მეორე, ისე [illegible] ერთმანეთში ერევა.

---

*) იხ. „Русское Слово“ №№ 234, 235.

ხარბინამდე ივლის, თუ მუკდენს ახლო შედგება სადმე. „ნ. ფრ. პრესე“-ს სამხედრო თანამშრომელი სწერს: ნოემბერში ნამდვილი ზამთარი დაიწყება მანჯურიაში და სამხედრო მოქმედება მთლად შედგება. არა მგონია, რუსებს იმდენი ჯარი მოუვიდეთ, რომ ეხლავე იერიშის მიტანა შეიძლონ იაპონელებზე. მერე რაკი ზამთარი დაიწყება, თვით ყინვას შეჩვეული რუსებიც ველარ შეიძლებენ სამხრეთისაკენ გალაშქრებას, რადგან მანჯურიაში ზამთარში ყველა მდინარე ყალი, დიდი იყოს თუ პატარა, ფსკერამდე ყინება. ჩემის აზრით, რუსები მდინარე ხუნხეს ჩრდილოეთით, ალბად, ტელინთან დადგებიან. იაპონელებიც, რასაკვირველია, ლიაოიანში არ გაჩერდებიან, ჩრდილოეთისაკენ გაილაშქრებენ და მუკდენს აიღებენ, რადგან ამ ქალაქს მეტად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. მართალია ამ ქალაქის სამხრეთით დიდი მდინარე ხუნხე ჩადის, მაგრამ მაინც იაპონელებს ადვილად შეუძლიათ დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან მოუარონ, ისე როგორც ლიაოიანს მოუარეს. ამიტომ არა მგონია, რუსები დიდხანს გამაგრდნენ მუკდენში. რაკი მუკდენს აიღებენ, იაპონელებიც შედგებიან და ზამთარში ჯარს შეასვენებენ. („რ.“).

იაპონელ დიპლომატის აზრი სამხედრო მოქმედების ვითარებაზე. იაპონიის საელჩოს მდივანს ნაგაოკის პარიზში უთქვამს გაზ. „[illegible]ტან“-ის თანამშრომლისათვის: რუსები მხოლოდ ხარბინში დაუხვდებიან მაგრად იაპონელებს; ამას იქით მხოლოდ ხარბინში მოხდება დიდი ბრძოლა და მანჯურიის ბედიც იქ გადაწყდება. ხარბინში რუსები მით უფრო ძლიერ წინააღმდეგობას გაგვიწევენ, რომ ჩვენი ჯარი ძლიერ დაშორებული იქნება თავის ბაზაზე და სურსათის ზიდვა ძლიერ გაუჭირდება. ეხლა ჩვენ პორტ-არტურის საქმეს ვეუდგებით. სულ ტყუილია ის ცნობები, ვითომ ჩვენი ჯარი ყოველ დღე შტურმით იღებდეს პორტ-არტურზე და გაცრუებული უკან ბრუნდებოდეს. დღემდე ჩვენ მხოლოდ ციხის სან[illegible] ფორტებს ვუშენდით ზარ[illegible] ხელში; მერე თითონ ციხეზედაც მივიტანთ შტურმსა. სანამ ხარბინში გავილაშქრებდეთ, ზამთარი დადგება, რადგან ძლიერ კარგად უნდა მოვემზადნეთ ამ გალაშქრებისათვის. ზამთარში სამხედრო მოქმედება თავის თავად შედგება. იაპონიის სახელმწიფო კაცებში არავინ არა ჰფიქრობს შერიგებაზე. ყველა იმ აზრისაა, რომ შეიძლება ომმა სამ წელიწადსაც გასტანოსო. იაპონიის ხაზინაც სულაც არაა ისე ღარიბი, როგორც აქ პარიზში ჰგონიათ. („პ. ვ.“).

ბრძოლა ლიაოიანთან. „ნ. ფრ. პრესე“-ს დეპეშით ატყობინებენ ლონდონიდან: იაპონელებმა ლიაოიანში 132 ვაგონი საკვებ სურსათით ჩაიგდეს ხელში, 38 ვაგონი სამხედრო სურსათით, 97 საველე ზარბაზანი, მომეტებულ ნაწილად დაუზიანებელი და ათასობით თოფი, რევოლვერი და ხმა[illegible] „ლოკალ ანცაიგერ“-ის კორესპონდენტი-კი ირწმუნება, იაპონელებმა მხოლოდ 24 დიდი საალყე ზარბაზანი ჩაიგდეს ხელშიო, ვითომ უკან დახევის დროს რუსებმა ვერ მოახერხეს ამ ზარბაზნების წაღებაო. („რ. ვ.“).

„ნ. ფ. პრესე“ სწერს: ლიაოიანთან ბრძოლის დროს რუსის კავალერიამ არაფრით არ გამოიჩინა თავი. მაინც რუსის კავალერიამ დღემდე მეტად ცოტა რამ გაარიგა და, ალბად, მხოლოდ ხელს უშლიდა ქვეითა ჯარს უკან დახევის დროს. მტრის დაზვერვა ხომ სულ არ ეხერხება: გენ. კუროპატკინს, ეტყობა, რიგზე არა სცოდნია, იაპონელებს სად რამდენი ჯარი ედგათ. გენ. კუროკიმ ორი დივიზია ჯარი დაუბრკოლებლივ გადაიყვანა მდინარე ტაიძიხეში,—ესეც კავალერიის ბრალია. კავალერიას დროზე უნდა გაეგო ეს ამბავი და კუროკის რაზმი ქვეითა ჯარის მოსვლამდე შეეყენებინა. ალბად, ტაიძიხეს მარჯვენა ნაპირას მეტად მთა-გორიანი ადგილია და კავალერიას მოქმედება არ შეეძლო. რკინის გზის დასავლეთით ტაიძიხეს ველიც ჭაობიანი ადგილია, წვიმისაგანაც ატალახებული იყო, ასე რომ კავალერიას არც აქ შეეძლო მოქმედება. მაშ რა სარგებლობა მოუტანა რუსებს 5 დივიზია კავალერიამ? კუროპატკინს რომ კავალერიის მაგივრად 5 ქვეითა დივიზია ჰყოლოდა, უფრო გამოადგებოდა“. დასასრულ გაზეთი ამბობს, ამ ომის დროს კავალერიას მცირე მნიშვნელობა აქვს და მანჯურიაში მხოლოდ ქვეითა ჯარი უნდა იგზავნებოდესო. („ნ.“).

ომში

მოკლულნი, დაჭრილნი და ტყვედ წაყვანილნი

მთავარ შტაბის განსაკუთრებული განყოფილება აცხადებს ომში მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვედ წაყვანილთა სიას:

ლიაოიანის ბრძოლაში მოკლულ იქმნენ: კაპიტანი—ჩულკოვი; შტაბს-კაპიტნები—კუზმინი, სოკოლოვი, მარკოვი, შულგა, რუმიანცევი, ზასიადკო და სუხოტინი; პორუჩიკები—რეჯკინი, ტომილოვი, პოპოვი და ივანოვი; პოდპორუჩიკები—კოჩენევი, ორლოვი, ოსტანკოვიჩი, იოვლევ, ლეონოვი და დანიკოვი, პრაპორშჩიკი სტრიჟკოვი, შტაბს-როტმისტრები—ბელიაევი და სავოსტინსკი.

დაიჭრნენ: პოლკოვნიკი სტანისლავოვი; პოდპოლკოვნიკი ფედოროვი; კაპიტნები—შულგიჩენკო-ეშჩენკო, მერჩუკოვი, ველიამინოვი, ზაბოლოტნი, ფედორინსკი, მარკოვსკი, კოზიევი, ტრეგუბენკო, ჰაუმერტი, ნიკიფოროვი, ჩაპლიგინი და დონიკოვი; შტაბს-კაპიტნები—ივანოვი, ვერეშჩაგინი, მილოვი, პოპლავსკი, კაველინი, სოკოლოვსკი, აპოლიტოვი, გრანკინი, ბულდაკოვი, ბარალოვსკი, კურდიუმოვი, გრეპენერი, ლევიცკი, სუკაჩევი, ლიუტიკოვი, მიხელსონი, დურაკოვსკი, კოსტროვი, კულინჩენკო, სვინინი და დავიდოვი; პორუჩიკები—აბრამოვი, გოგიევი (ხარლამპი დავითის ძე), სელივანოვი, ვივატოვსკი, აპუხტინი, პოდიბინი, ბარიბალოვი, ვასმუნდი, რეიხარდტი, კანნელბერგი, იტკინი, ლოპატო და კონონაცკი; პოდპორუჩიკები—გრუდზიცკი, პინხუსოვიჩი, კარაპჩუკი, ველიკანოვი, ველბაუმი, გირშა, რედკინი, მაიანოვსკი, კირილოვი, პოდაპენკო, კოზინცევი, როზენბერგი, ტოლსტოვი, კიმინსკი, ზავოდჩიკოვი, მიტკევიჩ-დალინსკი, გორბიკოვი, გორტინსკი, ანდრეევი, ვერეშჩაგინი, ივანოვი, დე-ბრიუკსი, პოლიაკოვი და კრიჟანოვსკი; პრაპორჩიკები—ეჟევსკი, რჟეწეცკი, ტაჩანოვსკი, ნიკოლაევსკი, ნიკოლაევი, ნოვოგრადსკი და ჩაგინი; ზაურიად პრაპორშჩიკები—კასტაში, ტომა, პროგინ-ვასილიევი, დროჟინი, კოზირი და ტიულენოვი; შტაბ-როტმისტრი ვიტორსკი და ესაული ბოდი[illegible]ავ-გვენსი.

დაშავდნენ: გენერალ-მაიორი ოგანოვსკი; პოლკოვნიკები—ლეშა, ზიმლიანიცინი და კუკურანი; პოდპოლკოვნიკი—ბეგიჩევი; კაპიტნები—ფედოროვსკი, ხოლევო, ნასკინი, რაზდერიშინი, სოკალსკი, კონსტანტინოვი, კიმიაშჩენკო; შტაბს-კაპიტნები—გორნოსტაევი, პოლივოდა, კარხი, აუერბახი, კალინა I, კალინა II, ზაგოსკინი; პორუჩიკები—ბარსოვი, ევსტაფიევი, ზენევიჩი, კურაევი, შელიაპინი, კუშჩენკო, ნატირბოვი, ტრუტენსკი და ვამელკინი; პოდპორუჩიკები—საპოჟნიკოვი, ბოგოლიუბცოვი, სოლოვიოვი, შჩეტინინი, მიხაილოვი, ტერნიკოვი, გარნიშევსკი; პრაპორშჩიკი—ვოზნიცკი.

ბრძოლის ველზე დარჩნენ: პორუჩიკი ივანოვი და 2 თავის ფეხით შესული უნტერ-აფიცერი ველენსკი; მაცუიამაში ტყვედ ყოფილა სოტნიკ სერიკოვი.

ახალი ამბავი

◆ **25-დან 31 აგვისტომდე ბაქოში ხოლერით ავად გამხდარა სამი კაცი.** 31 აგვისტოს გამხდარა ავად ერთი თათრის ქალი და გარდაცვლილა კიდეც და 1 სექტემბერსაც—აგრეთვე თათრის ქალი, რომელიც საავადმყოფოში დაუწვენიათ.

◆ კავკასიის უმაღლესმა სამკურნალო გამგეობამ აცნობა ტფ. ქალაქის თვით-მმართველობას, რომ, როგორც რუსეთის კონსულის დეპეშებიდანა სჩანს, თავრიზში 31 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე სამი კაცი **გამხდარა ხოლერით ავადაო.**

◆ დღეს, 4 სექტემბერს, გუბერნატორის თავმჯდომარეობით მოხდება ტფილისის **საგუბერნიო სასანიტარო კომისიის** კრება.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 2 სექტემბერს განიხილა ქალაქის მოურავის მოადგილის თავ. ჩერქეზიშვილის განცხადება **უღარიბეს მცხოვრებლებზე დარჩენილ** 20,000 მანეთის პატიების შესახებ. როგორც ვუწყით, საბჭომ დაადგინა, აპატიოს 20,000 მანეთი ღარიბ მცხოვრებთ მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების აღსანიშნავად. თავ. ჩერქეზიშვილმა განაცხადა, მრავალი თხოვნა შემოაქვთ მცხოვრებთ ფულის პატიების შესახებ, მაგრამ არ ვიცით, ვინ უფრო ღარიბია; ამას გარდა საქალაქო-სამეურნეო პოლიციის აგენტებს მეტად უჭირთ გადასახადების მოკრება, რადგან მდიდრებიც კი აცხადებენ, გადასახადი გვეპატიოო. გამგეობამ, თავ. ჩერქეზიშვილის მოხსენების თანახმად, დაადგინა, დაავალოს საქალაქო-სამეურნეო

[illegible] თისა და საომარ მასალის ურმებს [illegible]. [illegible] სწორედ ჯოჯოხეთია ასეთი ქარავანი სალდათებისა და აფიცრებისთვის. ყველა ჩრდილოეთისკენ მიეშურება, გარბის, ფეხოსანც [illegible] ზმება ამ დროს, ქარავანს კი არა ეშვება: მანჯურიის საზიზღარ გზებზე შეუძლებელია ურმების ჩქარა ზიდვა. ბრაზმორეული [illegible]თები უტყდაშუნებენ ძვალ-ტყავად ქცეულ ცხენებს, ესენიც კანიდან ძვრებიან, მაგრამ ძლივს ათრევენ ორ ან ოთხ თვალა ურმებს. ხშირად გზაზე სტოვებენ ურმებს და კარგავენ[illegible]რებიან. ერთხელ, უკან დახევის დროს, ერთ ქარავანს წავაწყდი. არ დაიჯერებთ, ამ ქარავნის უფროსს სიბრაზისა და უღონობისაგან ტირილი მოუვიდა. ძლივს დავამშვიდეთ... ხშირად ცხენიანნი და უცხენონი ერთმანეთში არიან არეულნი. კარგი სანახავი არც ცხენებია: ეშმელ-უშმელნი, ძვალად ქცეულნი, ძლივ-ძლიობით [illegible]იან და მიათრევენ ფეხებს.

[illegible]არის უკან დახევა მიდამოიდან უნდა უეთ. მთელი მიდამო თქვენ წინ სავსეა ერთმანეთში არეულ ხალხით. აგერ, გაიარა ნაკლებად [illegible]ებულმა რაზმმა წეს-რიგით, ხშირად მუსიკით. მაგრამ ასეთი რაზმი ცოტაა. ჩვეულებრივ ამგვარ რაზმს მისდევენ მრავლად ჩამორჩენილნი, დაღლილნი, დატანჯულნი. ესენი არ [illegible]ვენ გზას, არ დაგიდევენ ყანას, მინდორს. [illegible] ტვრეული, ღვთის ანაბარა მიგდებული [illegible], იქ წაქცეული, ღონე გამოლეული უპატრონო ცხენი... ყველგან—ხევში, ხის ქვეშ—[illegible]ც კი ერთი მტკაველი ჩრდილია, ბუზივით [illegible] ხალხი. წვანან, სხედან ან დგანან. ყველა ისე ჰგვანან სალდათებს, როგორც ჯან[illegible]ებული, ძვალ-ტყავად ქცეული ცხენი ქა[illegible] მარდ მერანს. მთელი ეს არეულ-დარეული [illegible] ჩრდილოეთისკენ მიდიოდა. უკან დახეულთა [illegible] თვალსავეა ავადმყოფი. სადაც მატარებელი [illegible]დება, ესენიც იქ გაჩნდებიან ხოლმე.

— შეგვიშვით ვაგონში, სიარული აღარ შეგვიძლია!—ისმის იქით-აქედან.

— სად მიხვალთ?

— საავადმყოფოში.

[illegible]თქმა უნდა, უშვებენ, თუმცა ავადმყოფებთან [illegible]ავადმყოფნი, დაღლილნიც მრავლად არიან [illegible].

* *

[illegible]ჯერ შემხვედრია უწეს-რიგოდ უკან და[illegible] რაზმები. მივსულვარ ზოგჯერ და გამო[illegible]:

— სად არიან თქვენი აფიცრები?

— არ არიან.

— წავიდნენ?

— ზოგი წავიდა, ზოგი იაპონელებმა მოგვი-

არის მართლაც ისეთი როტები, სადაც აღარც ერთი აფიცერი არ დარჩენილა. ხოლო სალდათი უაფიცროდ სრულიად დაკარგული კაცია. თუ აფიცერი არის, საქმე კარგად მიდის, თუ არ არის, ყველაფერი მოსალოდნელია, იმიტომ რომ მარტოდ დარჩენილი სალდათი იბნევა, იკარგება. ეხლაც და ოსმალოსთან ომის დროსაც მომხდარა, რომ ჯარი დამფრთხალა, ფარასავით დაბნეულა. ასეთი დაფრთხობა უაზროდ, მოუფიქრებლად ხდება. ხშირად მამაცი, გულადი რაზმი, რომელიც დღისით ლომებრ იბრძოდა, ღამე თოფების ჭერის, ტანისამოსსა და კარვებს თავს ანებებს და თავგზა დაბნეული შურდულის ქვასავით გარბის, ისე გარბის, რომ ნერვებზე ჩაქუჩი სცემოთ, ვერ შეაჩერებთ. ასე მოხდა ოსმალოსთან ბრძოლის დროს შიპკაზე, სადაც ცხარე შეტაკებების შემდეგ, ერთ მშვიდობიან ღამეს ჯარი დაფრთხა მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი სალდათი, რომელსაც სიზმარში ოსმალო მოსჩვენებოდა, წამოხტა, თოფი გაისროლა და „ურა“ დაიძახა. უნდა გენახათ, რა მოხდა ამის შემდეგ. მთელი ჯარი ფეხზე წამოიჭრა და ყვირილით, თოფების სროლით უკან კი არა, წინ გაექანა...

ასეთივე ამბავი მოხდა ხაიჩენთან, სადაც დაშიჩაოდან მოვედით. საძაგელი ღამე იყო. ბრძოლის შემდეგ სალდათები მშივრები იყვნენ, იმიტომ რომ იმათ პოზიციაზე პურის მიტანა არ შეიძლებოდა. მე ვიჯექ ბოჩაროვთან, კორეის შტოს გამყვანთან, იმ შტოსი, რომლის გაყვანაც ჯერ-ჯერობით ვერ მოვახერხეთ (ეს შტო უნდა გაეყვანათ ხაიჩენიდან მდ. იალუმდე). უცბად შემოვიდა ბოჩაროვის კაცი და გვითხრა:

— სალდათი მოვარდა.

— საიდან?

— მთებიდან, პოზიციიდან. ფეხშიშველაა, ცარიელ პერანგში.

ეს პოზიცია ხაიჩენიდან ათ ვერსზე იყო.

— რად მოვიდა?

— ამბობს, იაპონელები დაგვეცნენ და ყველანი ამოჟლიტესო.

— როგორ თუ ყველანი?

— ასე რომ ჩემ მეტი არავინ გადარჩაო.

რა სისულელეა! რა თქმა უნდა, სისულელე იქნება. ჯერ არ მომხდარა, რომ იაპონელებს ღამე არა სძინებოდეთ. თვითონაც იცვნებენ და სხვასაც ასვენებენ გადავწყვიტეთ, თვით სალდათისთვის გამოგვეკითხნა.

— აქ გამოგზავნე ახლად მოსული.

— ხელ-ახლა გაიქცა, ბატონო!

— სად გაიქცა?

— არ ვიცი.

გარედ გავედით. კუპრივით შავი ღამე იყო. გასვლისავე წინ შეგვხვდა რამდენიმე ახლად მოვარდნილი სალდათი, ისეთები, როგორზედაც ეხლა ხან ბიჭო ველაპარაკებოდა. ყველა ფეხშიშველა, საცვლების ამარა, დაბნეული, თვალებ არეული იყო.

— საიდან მოდიხართ?—ვკითხეთ.

— მთებიდან.

— რად წამოსულხართ?

— ჩვენები ყველანი ამოჟლიტეს.

— ვინ?

— იაპონელებმა.

— როგორ თუ ყველანი?

— ასე, გენერალიც წაიყვანეს, მთელი შტაბიც, ჩვენი ამხანაგებიც.

— თოფები რადა უყავით?

— იქ დავტოვეთ.

ესენი მთავარ-სარდალთან გაგზავნეს. შემდეგ გამოირკვა, რომ არავითარი იაპონელი არ დასცემია თავს წყნარ, მთვარიან ღამეში ერთი ჩვენი პოლკი მეორეს წასწყდომია, და არეულა კიდეც მონასტერი: მთელი რაზმი დამფრთხალა. ასეთი ამბები ყველგან ხდება; მომხდარა იგი გერმანელებისა, ფრანგებისა და იაპონელების ჯარშიაც.

**

დაშიჩაოსავით ხაიჩენსაც მივანებეთ თავი. აგერ, მტრის ანაბარა დატოვებული ხაიჩენი. ღმერთო ჩემო, რამდენი შრომა და ფული დაიხარჯა იქ! გაიყვანეს რკინის გზის სათადარიგო ლიანდაგები, ახალი შტოები; გამართეს დეპო, პაკჰაუზი, სამკურნალოები. როგორ კოხტად, სუფთად, ლაზათიანად იყო ყველაფერი მოწყობილი. ჩვენი ჯარი დიდხანს ფიქრობდა აქ დარჩენას, დაბანაკებას. ასევე ფიქრობდნენ დაშიჩაოშიაც... ეხლა კი სადგურზე არეულობაა. იკრიბებიან უკანასკნელი მებრძოლნი, მიდიან ჩამორჩენილი რაზმები, ავადმყოფნი, ასობით მომავალი ავადმყოფნი, რომელთაც დაღლილობისაგან ვერ გაარჩევთ. აგერ, სადგურზე მთელი გორაა ეკლიან მხვლეტავ მავთულებისა. თუ არ პოლკ. სპირიდონოვი ეს [illegible] იაპონელებს დარჩებოდათ საჩუქ[illegible]ბას ვუტოვებდნენ! მომავალ ბრძოლაში უნტერ[illegible] ჯარი ჩვენისავე მავთულებისაგან გაკეთებულ [illegible]ბებს წააწყდებოდა. აქვეა ორასი ფუთი თოფის წამალი,—ასე რომ ფუგასებსაც მოგვიმზადებდნენ იაპონელები ჩვენის საკუთარ წამლით. ცოტა მოშორებით თხრილებისა და სანგრების აუარებელი მასალა ჰყრია. ჩვენი ჯარის-კაცნი შეუდგნენ ვაგონების დატვირთვას ამ [illegible]თით. სპირიდონოვი სწუხდა და გოდებდა, რომ ფქვილისა და ქერის ტომრებიც ვერ მიჰქონდა. ხაიჩენში მთელი გორები რჩებოდა ფქვილითა და ქერით დატენილ ტომრებისა.

— ხაზინის ქონებაა,—ამბობდა მწუხარედ სპირიდონოვი.—ვინ მოსთვლის, რამდენი ფული და შრომა დაიკარგა ამაზე. ოცოდე ვაგონი რომ მომცათ, ამასაც წავიღებდი, მაგრამ არ მომცეს, თუმცა, აგერ, ცარიელი ვაგონები სადა დგას!

— მილიონზე მეტი დავწვით ასე უთავბოლოდ!—შენიშნა ვიღამაც.

— შეგვეძლო-კი დაშიჩაოდან წამოგვეღო.

— რაც დაშიჩაოში ინჯოუს და გაფანტულებს შეგვეძლო წამოგვეღო...

არეულობა იზრდება. დიდ-ძალი სალდათობა მიაწყდა ვაგონებს. ყველა შიგნით მიიწევს. არ უშვებენ, მაგრამ ისინი თავისას არ იშლიან. იძახიან—ავადა ვართო, და მიძვრებიან. არ ერიდებიან არც თოფის წამალს, არც მხვლეტავ მავთულებს. არიან ჯან-საღნიც. ამათ ხშირად ფეხით ჩაარტყმენ ხოლმე ძირს, მაგრამ ისინი მეორე მხრიდან მიძვრებიან და პირდაპირ ეკლიან მავთულებზე წვებიან ან იადარის ქვეშ მიცოცავენ...

— მალე წავალთ?—მოისმა ამ არეულობის დროს სუსტი ხმა.

მივიხედეთ და მოწყალების დაი ვორონოვისა კი დავინახეთ. ვორონოვისა ყოველთვის უკან რჩება და დაჭრილებსა და ავადმყოფებს უვლის თავს.

— აი, დავტვირთავ ვაგონს და გავუდგებით გზას,—მიუგო სპირიდონოვმა.

— დანარჩენს რაღას უზამთ?

— ცეცხლს წავუკიდებთ.

— ბ-ნო პოლკოვნიკო!—დაუძახა ვიღაც ახლად მოსულმა სპირიდონოვს,—რა ვუყოთ ფქვილს?

— რომელ ფქვილს? აი ამას?—გაიშვირა ხელი სპირიდონოვმა და ანიშნა ტომრების გორებზე.

— არა, მე სხვა ფქვილი მაქვს, აგერა იქ,—თან ხელი გაიშვირა:—ოცდა რვა ათასი ფუთია.

— ვერ წავიღებთ.

— მაშ ცეცხლი წავუკიდოთ?

სპირიდონოვმა მხოლოდ მხრები აიწია... ბოღმა ყელში მომებჯინა. ცეცხლი უნდა წაუკიდონ ფქვილსა და ქერს,—მაშ იაპონელებს ხომ ვერ დაუტოვებენ! მაგრამ რატომ არ დაურიგეს ყველა იმათ, ვინც თხოულობდა? ხომ სალდათები გამოიკვებებოდნენ ამ პურით და [illegible]ების ცხენები გაძღებოდნენ ამ ქერით.. [illegible]

აგერა, ალი ნელ ნელა უვლის [illegible] გადაფარებულ ტომრებს. ერთი წუთიც და, მთელი საწყობი უზარმაზარ კოცონად გადაიქცა...

ძე—ი

პოლიციის აგენტებს, ერთის კვირის განმავლობაში შეადგინონ და წარუდგინონ გამგეობას სია ქალაქის იმ უღარიბეს მცხოვრებთა, რომლებზედაც ითვლება დასაფასებელ ცხენებისა და სამკურნალოს გადასახადების დარჩენილი ფული. ეს სიები გადაეცემა შემდეგ კომისიას შესამოწმებლად. ამ ცნობების მოკრების შემდეგ დასაფასებლისა და ცხენების გადასახადის დარჩენილი ფული ეპატიება უღარიბეს მცხოვრებთ, ხოლო დედათა სამკურნალოში ნამყოფებზე დარჩენილი ფული სულ იქნება ნაპატიები.

◆ გუშინ, 3 სექტემბერს, ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ხუდადოვმა განცხადება გადასცა ქალაქის გამგეობას საბჭოში წარსადგენად. ბ-ნი ხუდადოვი წინადადებას აძლევს საბჭოს, მუშათა უბნებში გამართოს **საჩაიები სამკითხველოებითურთ.**

◆ ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას აზრადა აქვს გახსნას ტფილისში აწ არსებულ **ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის** გარდა სამი კიდევ სხვა კანტორა: ერთი—მიხეილის ქუჩაზე, მეორე—დიდუბეში და მესამე—ავლაბარში.

◆ **ქართულ წარმოდგენების** ამხანაგობის კომიტეტმა თავმჯდომარედ აარჩია თავ. ზ. ერისთავი, მდივნად იაკ. ცინცაძე, ხოლო ხაზინადრად დ. დუმბაძე.

◆ **უწმ. სინოდმა** აცნობა საქართველოს ექსარხოსს, რომ ამიერიდან იმ თხოვნებს, რომელსაც სამღვდელოება აძლევს თქვენს წინაშე სამგზავრო ბილეთების მისაღებად, უსათუოდ სამ აბაზიანი მარკები უნდა დაეკრას ხოლმე.

◆ ტფილისის **სათავად აზნაურო სასწავლებლის** რუსულ ენის მასწავლებლად მოწვეულ იქნა კიევის საქალებო გიმნაზიის მასწავლებელი ბ-ნი ჩიტაძე.

◆ ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ხუდადოვმა განუცხადა გუშინ ქალაქის გამგეობას, რომ უსახელო საზოგადოებას, მრავალ გზის მოგონების მიუხედავად, დღემდე არ გაუსუფთავებია ის ქუჩები, სადაც ახალი ლიანდაგი დააგო. ბ-ნი ხუდადოვი სთხოვს გამგეობას, თავის ხარჯით დასუფთავებინოს ქუჩები და მერე ფული საზოგადოებას გამოართვას.

◆ საგუბერნიო სამშენებლო გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ საფოსტო გზების დარაჯებს დაურიგდეთ პატარა აფთიაქები დაშავებულთათვის პირველ შემწეობის აღმოსაჩენად.

◆ ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: „ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით დავაკმაყოფილო ბ-ნ „სუსანტის“ კანონიერ მოთხოვნილება მეჯრუსხევის საავადმყოფოს სასარგებლოდ მეორედ 20 ივლისს გამართულ წარმოდგენის ანგარიშის შესახებ. ამ წარმოდგენის შემოსავალი 23 მ. 71 კ. და ქვემოდ მოყვანილი ანგარიში წარვუდგინე მეჯრუსხევის ბოქაულს. შემოვიდა 42 მ. 80 კ., აქედან დაიხარჯა: პარიკმახერს 8 მ., გერბის მარკები—1 მ. 20 კ., საწარმოდგენო მარკები—2 მ. 98 კ., ბილეთების დასაბეჭდი—1 მ. და წვრილი ხარჯი—5 მ. 91 კ. სულ 19 მ. 9 კ. პირველ წარმოდგენის ანგარიში სადაა წარდგენილი, არ ვიცი, მხოლოდ შემოსავალი კი გადაცემულია დანიშნულებისამებრ. ამასთან დავუმატებ, რომ შეიძლება მეთაური ამ წარმოდგენისა მოვალედ არა სთვლის თავის თავს აძლიოს დაწვრილებით ანგარიში ვისმეს, იმათ გარდა, ვისაც ეს საქმე შეეხება. გ. თ—შვილი“.

◆ წელს ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში შესვლის მსურველი იყო 140 მოსწავლე. მიიღეს 71 კაცი.

◆ სოფ. ცხისში (ახალციხის მაზრა) რიდვან-უსუფ-ოღლიმ ჩხუბის დროს ხანჯლით დასჭრა მუცელში თავისი ღვიძლი ძმა მოლლა-ბაღრია-უსუფოღლი, რომელიც რამდენიმე წუთის შემდეგ გარდაიცვალა. მკვლელი დაიმალა.

◆ სოფ. ხოვაშენში (ახალციხის მაზრა) მეხმა მოჰკლა ქ. ახალციხის მცხოვრები ნატალია საკოვისა და სოფ. ზემო-ვითელის მცხოვრები ხალილ-გულიოღლი.

◆ როგორც სოფ. ოთიდან (ახალციხის მაზრა) გვატყობინებენ, ამ სოფელში საქონლის ჭირი გაჩენილა.

◆ საქართველოს ექსარხოსის კანცელარიაში მუშაობა პირველ ენკენისთვიდან დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე სწარმოებს.

◆ პოლიციის მე-8 ნაწილში სასტუმროში ჩამომხტარა სომეხთა მღვდელი ტერ-სააკ ტერ-ვასკანიანცი. ვასკანიანცს 2 სექტემბერს გამოსულა თავის ნათესავის [illegible] საძებნელად და, რადგან ვერ უპოვნია, [illegible] ქუჩაზე ერთის უცნობისათვის უკითხავს. უცნობს [illegible], მე ვიცი იმისი ბინა, წამომყევიო. უცნობს მღვდელი ერთს მივარდნილს ქუჩაში მიუყვანია და იქ უთქვამს, ფულიანი ქისა დავკარგე, უთუოდ შენ იპოვნიდიო. მღვდელს ამოუღია თავისი ქისა, რომელშიაც 80 მან. ჰქონია,—აი, მე ამის მეტი არა მაქვს-რაო. უცნობს გამოურთმევია საფულე და ისევ დაუბრუნებია პატრონისათვის, ხოლო თითონ იქვე სადღაც გამქრალა. მღვდელს რომ გაუხსნია საფულე, უნახავს შიგ 80 მან. ნაცვლად ქაღალდში გახვეული 7 ორ-ორ კაპეიკიანი.

◆ ცხინვალის ქუჩაზე, პრეობრაჟენსკის სახლში მცხოვრებ აზ. ალექსანდრე კობიაშვილისათვის შინ არ ყოფნის დროს გაუტეხია ვიღაც ბოროტ-განმზრახველს ბინა და გაუტანია ჩერქეზული ჩოხა, მედლებით და ვერცხლის ქილებით მორთული, თეთრი ბუხრის ქუდი და სხვა ნივთები 60 მანეთისა.

რუსეთის ქრონიკა

◆ უმაღლესის ბრძანებით, უწმ. სინოდმა განკარგულება მოახდინა იმის შესახებ, რომ რუსეთზე მოვლენილი ამ მძიმე განსაცდელის დროს კვირე-უქმე დღეებში ყველგან საერთო ლოცვა და პარაკლისები გამართონ, რათა ღმერთმა მიანიჭოს გამარჯვება რუსის ჯარს შორეულ აღმოსავლეთში.

◆ ციმბირის გაზეთები იუწყებიან, რომ ირკუტსკში ამ ჟამად მრავალი დასახიჩრებული მუშაა. ქუჩებში ყველგან შეხვდებით ბრმებს, კოჭლებს, ხელ-და-ფეხ მოჭრილს მათხოვრებს, რომლებიც ცალ-ცალკეცა და ჯგუფებადაც დადიან მოწყალების სათხოვნელად. ყველა ესენი წინად რკინის გზაზე მუშაობდენ, ირკუტსკის ახლოს, ტონელში და დინამიტის წყალობით არიან ასე დაბეჩავებულნი. დინამიტის მუშაობის დროს ბევრი უეცარი აფეთქება მომხდარა, ბევრი მუშა დაიჭრა და დაშავდა. დაჭრილებს საავადმყოფოში ჰგზავნიდნენ, ზოგს ფეხსა სჭრიდნენ, ზოგს ხელს და როცა მორჩებოდნენ, უშვებდენ ლუკმა პურის საშოვარად. ამ წლის პირველ სამი თვის განმავლობაში ბაიკალის გარშემო რკინის გზაზე მრავალი მუშა დაშავდა: 1000 კაცზე—150 კაცი. დამზღვევი საზოგადოებანი აღარ ზღვევენ მუშებს უბედურ შემთხვევათა სიმრავლის გამო. ამ შემთხვევათა მიზეზი ის არის, რომ მუშაობას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ. მოიჯარადრეები ცუდ დინამიტს ხმარობენ თურმე და უწყალოდ ასახიჩრებენ მუშა ხალხს.

◆ ვარშავის გაზეთის სიტყვით, ვარშავის საშუალო სასწავლებელში რამდენიმე მოწაფე ყოფილა, რომელნიც ზაფხულში ქვის მთლელებად არიან თურმე შენობებზე და ამ ხელობით ფულს შოულობენ სწავლის განგრძობისათვის.

◆ ვარშავის საქველ-მოქმედო საზოგადოებას შემდეგი ღონე უღონია უსაქმოდ დარჩენილთა და ღარიბთა დასახმარებლად: ჰგზავნის ღარიბთა უბნებში მოძრავ სამზარეულო—ეტლებს და დამშეულთ უფასოდ აძლევს საჭმელს.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 სექტემბერი

ფილიპოპოლი (თურქეთ. წრეებიდან). დაუთმეს თუ არა ცოტათი ალბანელებს, იმათ მაშინვე მეტი მოითხოვეს. ეხლა ალბანელები თხოულობენ: ეპატიოს სასჯელი ყველა დამნაშავე ალბანელს, ეპატიოთ საქონლის გადასახადი, აეკრძალოთ ქრისტიანეთ ეკკლესიებზე რეკა და დაიკეტოს ქრისტიანეთა ყველა სკოლა. შაქირფაშამ ჯარი დაიბარა. ამბავი, ვითომ დეჩენსკის მონასტერთან ქრისტიანები ამოსწყვიტესო, ტყუილია.—სამოქალაქო აგენტები ხვალ უსკიუბს მიდიან ალბანელთა მოძრაობის შესასწავლად.

ლიუცერნი. 1 სექტემბერს გაიხსნა თვალის ექიმთა საერთაშორისო კონგრესი.

ბაქო. 25 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე ბაქოში 4 კაცი გახდა ავად ხოლერით და 3 გარდაიცვალა. ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლის გასამართავად უმაღლესად გამოგზავნილი გრაფი შუვალოვი მოვიდა.

მადრიდი, 1 სექტემბერი. აქაურ ანარქიულ გაზეთის რედაქციაში დაატუსაღეს პარიზიდან მოსული კაცი. ეჭვი აქვთ, რომ იმას განზრახვა ჰქონდა, რამდენიმე წარჩინებული პოლიტიკური მოღვაწე მოეკლა. გაჩხრეკის დროს დინამიტის 9 პატრონა უპოვეს. იმის ბარგში ანარქიული თხზულებანი აღმოჩნდა.

ციურიხი. 1 სექტემბერს გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია ახალგაზდა ქალებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მოსალაპარაკებლად. კონფერენციაში 14 სახელმწიფო იღებს მონაწილეობას, მათ შორის რუსეთიც.

3 სექტემბერი

პეტერბურგი. სიმბირსკის გუბერნატორი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი რჟევსკი დაინიშნა რიაზანის გუბერნატორად.—საერო განათლების მინისტრის საბჭოს წევრი ტაინი სოვეტნიკი რენარი დაინიშნა საერო განათლების მინისტრის ამხანაგად. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და უმაღლესად ბრძანა, ჩარიცხულ იქნას ფლოტის გემთა სიაში ნაღმოსნობ გემი „ფელდმარშალი გრაფი შერემეტევი“, რომელიც ამ ჟამად ბალტიის ქარხანაში შენდება ფლიგელ-ადიუტანტის გრაფის შერემეტევის ხარჯით.—საერო განათლების სამინისტრო აცხადებს, რომ მომავალ 1905 წელს, ლიეჟში (ბელგია) საერთაშორისო გამოფენის გამო, მოხდება საერთა[illegible]სო ხელნაწერთა, ფულისა და ბეჭდების აღდგენის შესახებ მოსალაპარაკებლად.

ნიკოლაევი. საპატიმროში ტუსაღებმა მოიწადინეს ერთი თავისი ამხანაგის დასჯა. ადმინისტრაციამ წინააღმდეგობა გაუწია ტუსაღებს. უკანასკნელნი აჯანყდნენ, რის გამო მათ დასამშვიდებლად იარაღი იხმარეს; ერთი ტუსაღი მოჰკლეს და 3 დასჭრეს. შემთხვევით დასჭრეს ზედამხედველი.

რომი. 2 სექტემბერს, საღამოს 11 საათზე, დედოფალს ეყოლა ვაჟი, რომელსაც დაარქვეს სახელად ჰუმბერტო, პრინცი პიემონტისა. ახლად დაბადებული კარგად არის.

სლავიანსკი. ადგილობრივმა ქველმოქმედმა მნურკოვმა შესწირა ქალაქს შენობა კომერციულ სასწავლებლისათვის.

ნიჟნეტაგილსკი. ნიჟნეტაგილსკის ქარხანა დაათვალიერა მიწათ მოქმედების მინისტრმა. საღამოს 10 საათზე მინისტრი წავიდა დემიდოვების ქარხანაში, სალდინში, იქიდან-კი—ალა[illegible]ში. ქარხნის პატრონებმა [illegible] მინისტრის გამგზავრებას [illegible] ის მოჰყვება, რომ განწესრიგებულ იქნება [illegible] მფლობელობა ურალის ქარხნების [illegible] მოსახლე მუშებისა. ამ საქმის მოუწყობლობა ხელ[illegible] უშლის მექარხნეთ და აბრკოლებს ქარხნების წესიერ მოქმედებას.

პეტერბურგი. პეტერბურგში ურია[illegible] ხალხს გენერალ ბოგდანოვიჩის ახალ გ[illegible]—სურათს სასიხარულო ამბავის, მემკვიდრე [illegible]სარევიჩის დაბადების შესახებ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარ

განცხადება

ახალი გახსნილი
სასტუმრო **არკადია** ნომ[illegible]
(ყოფილი „იალტა“)

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, მჭედლების ქუჩ. კუთხეში. სადილი ორი თავი[illegible] არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. [illegible] ლებით და ყავით 30 და 20 კ., [illegible] 25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და [illegible] აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილი[illegible] 5—12 ს. საღ. (88—52—50)

შემთხვევით იყიდება ნო[illegible]ბი „მეტროპოლი[illegible]“ გოლოვინის პროსპექტზე. მოლაპარაკება იქვე. (4[illegible]ენ.



СѢД
СПЕЦ
Безъ конкуре
продаются всевозмо
მიხაილოვის პრ., სა[illegible]ვისა, № 92, საზაფხუ[illegible]ნიის ახლოს. (ð.—176—88)

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი 1882 მოსკოვი 1896 ნიჟნ.-ნოვგოროდი.

კალოშები [illegible]

და რუს[illegible] ქალაქ[illegible]

უდიდესი ჯილდო
(Grand prix)
პარიზის გამოფენაზე
მიენიჭა რუსეთში მხოლოდ
ამხანაგობას
რუსეთ-ამერიკის
რეზინის მანუფაქტურის
ს.-პეტერბურგში.
დაარსებულ 1860 წელ

რეზინის კალოშების
ყიდვის დროს
ყურადღება მიაქციეთ
ლოშის ძირზე
განსაკუთრებით
ბის დაარსების წლ
„1860“ და სიტყვ
„С.-Петербургъ“
წითელ სამკუთხედ
ბრიკის ნიშანი).
ნარდ[illegible]
აფარჩევებს
[illegible] ნახეთ

„ლეოპოლდ ნეიშელერი“
პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ოდესას,
ტაშკენტში. და ტფილისს
(6

Разр. цензурою 3 сентября 1914 г. ელექტრონის სტამბა „წიგნ